

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შ.პ.ს. „სხივი 1„ რეგისტრირებულია საქართველოში 19.10.2016 წლიდან. საზოგადოების დამფუძნებელია რუსუდან ბადალაშვილი (პ/ნ01020008767), 100% წილის მფლობელი. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება: დირექტორი - რუსუდან ბადალაშვილი (პ/ნ01020008767). კომპანიის იურიდიული მისამართია **საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, გომარეთის ქ., N1**. საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. კომპანია ეწევა საცალო ვაჭრობას

ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ორგანიზაცია იყენებს ქართულ ლარს.

საწარმო ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ხარჯების ფუნქციის მიხედვით. კომპანიის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საზოგადოება წარმოადგენს ფუნქციონირებად ორგანიზაციას და ახლო მომავალში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად არის წარდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. ანგარიშგების მომზადების დროს ასევე გამოყენებულია ბუღალტრული ანგარიშგების მეთოდოლოგიით და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული და დამტკიცებული ანგარიშთა გეგმა.

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



Handwritten signature in blue ink: ი. ბადალაშვილი
Handwritten initials in blue ink: ვ-შ, შ

ფინანსური ანგარიშგების პაკეტი მოიცავს:

1. ფინანსურ მდგომარეობას
2. საქმიანობის შედეგებს
3. ფულადი სახსრების მოძრაობას

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის დაქვითვით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს წრფივი მეთოდით. სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგნაირად განისაზღვრება:

- შენობა-ნაგებობები - 50 წელი
- საოფისე აღჭურვილობა - 10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. თუ სასაქონლო-მატერიალური მარაგი გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში და ზარალში.

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა; შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

მოგების გადასახადი

საზოგადეოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

საგადასახადო ვალდებულებები

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და ისახება ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლისა ან/და მომსახურებების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა საქონელი და/ან მომსახურება. კერძოდ მყიდველისთვის ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერისთანავე.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგება-ზარალში საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



h. ბადალაშვილი
3-7-7

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება და წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრების და მისი ექვივალენტების, სახით. პროდუქტის თავდაპირველი შეფასება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული საოპერაციო დანახარჯები. ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო ან/და ნაღდი პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში(ასეთი შემთხვევის არსებობის შემთხვევაში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

ხელფასის დარიცხვა ხდება ხელშეკრულებში გათვალისწინებული თანხის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულადი სახსრების მოძრაობა უფიქსირდება როგორც საბანკო ანგარიშებზე, ასევე ნაღდი ფულის შემოსულობებითაც . კომპანია ყველა ვალდებულების დაფარვას აწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით ან/და ნაღდი ანგარიშსწორებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის თანხა განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილებები (მათ შორის, ცვლილება საწესდებო კაპიტალში, დამფუძნებლებში/მფლობელებში, ა.შ.) კომპანიის წესდებაში უნდა მოხდეს მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი

h. მადამუილი
გ. ჯ. ჯ.



შპს სხივი 1

განმარტებითი შენიშვნები (ფინანსური მდგომარეობა)

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	19186	355018	4604
სავაჭრო მოთხოვნები	172528	125194	98350
გადახდილი ავანსები	5839	3597	75568
მარაგები	2500078	1744490	347511
მზა პროდუქცია			
სხვა	2500078	1744490	347511
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	48475	45930	42582
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2746106	2274229	568615
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	424709	413222	205292
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	57	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	17286	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0	0
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	976178	1181800	235912
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	189,175	85718	37184
სულ ვალდებულებები	1607405	1680740	478388

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი
 ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



h. ბადალაშვილი
 3-5-5-5

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	170545	170545	45490
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	968156	422944	44737
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1138701	593489	90227
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2746106	2274229	568615

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ფული სალაროში და ფული ბანკში (ექვივალენტი ლარში).

სავაჭრო მოთხოვნები შედგება მოთხოვნები მიწოდებიდან დამომსახურებიდან.

გადახდილი ავანსები შედგება -ზედმეტად გადახდილი საბიუჯეტო გადასახდელები და მოთხოვნილი დღგ-ს თანხები, მომავალ პერიოდში ჩასათვლელი დღგ.

სხვა-შედგება სასაქონლო ნაშთებისგან.

ძირითადი საშუალებები-შენობა, მიწა, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი.

სულ ვალდებულებები და კაპიტალი

სავაჭრო ვალდებულებები-მოწოდებით და მომსახურებით წარმოქმნილი ვალდებულებები.

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ- მომსახურე პერსონალის მიმართ. არსებული ვალი.

საგადასახადო ვალდებულებები- გადასახდელი დღგ, გადასახდელი საპენსიო გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები-სესხი პარტნიორისგან და საბნკო სასესხო ვალდებულება.

სხვა ვალდებულებები-გადასახდელი პროცენტი, საპენსიო გადასახადი.

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი-გაუნაწილებელი მოგება.

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') - დამფუძნებლის მიერ ფულადი სახსრების შეტნისა და გატანისგან.

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



Handwritten signature in blue ink: **ხ. ბადალაშვილი**
 3-7-2023

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	279258	190005
	9	3
	279258	190005
საქონლის გაყიდვიდან	9	3
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
	-	-
	174728	118261
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	2
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
	104530	
საერთო მოგება	0	717441
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-183394	-114216
ცვეთა და ამორტიზაცია	-2456	-1897
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-132318	-89770
იჯარის ხარჯი	-105133	-82038
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-78206	-52142
სულ საოპერაციო ხარჯები	-501507	-340063
საოპერაციო მოგება	543793	377378

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი

ი. ბადალაშვილი

ვ. შ. შ.



გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:

ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	1419	829
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		37820
ოპერაციებიდან	545212	7
მოგების გადასახადი	0	0
		37820
მოგება/(ზარალი)	545212	7

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის)		
გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების		
უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ		
გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
		37820
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	545212	7
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	593489	90227
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის		
გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის		12505
გაზრდა')	0	5
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
	113870	59348
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1	9

ფინანსურ ანგარიშგებაში მინუს ნიშანი აღნიშნავს: ხარჯებს, ზარალს და ა.შ

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი



Handwritten signature in blue ink: *ბადალაშვილი*
3 - 25/12

ნეტო ამონაგები საოპერაციო შემოსავლები საქონლის გაყიდვიდან
მიღებული შემოსავალი

სულსაოპერაციო ხარჯები 1) დასაქმებულთა ანაზღაურება, დარიცხული და
გეცემული, ხელფასები . 2) ცვეთა და ამორტიზაცია, დარიცხული ცვეთა სააღრიცხვო
პოლიტიკის შესაბამისად . 3) იჯარის ხარჯი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.
4) საპროცენტო ხარჯები 5) ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი სულ
რომელიც შედგება: საბანკო ხარჯი. მომსახურების ხარჯი. საკანცელარიო ხარჯი.

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = სასაქონლო მარაგების
საწყის ნაშთი + შესყიდვები - საბოლოო მარაგების ნაშთი

საოპერაციო მოგება = საოპერაციო შემოსავალი - საოპერაციო ხარჯები.

წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან = დადებითი
გაუფასურება + უარყოფითი გაუფასურება.

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი) - საოპერაციო იჯარიდან
მიღებული შემოსავალი

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს = საკუთარი კაპიტალის
საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) + მთლიანი სრული შემოსავალი / ზარალი

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შაშვიაშვილი

ი. ბადაშვილი
3.1.13



ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-75,967	-580,203
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	261284	929788
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	335832	350414
სავალუტო კურსის ეფექტი	1419	829
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	355018	4604
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	19186	355018

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან-სულ

საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული სალაროთი
 საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული ბანკით
 ზედმეტად ან/და შეცდომით ჩარიცხული ფულის უკან დაბრუნება ბანკით
 საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გადახდილი ფული სალაროთი
 საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გადახდილი ფული ბანკით
 ზედმეტად ან/და შეცდომით გადახდილი ფულის უკან დაბრუნება ბანკში
 გადახდილი ხელფასები სალაროთი
 გადახდილი ხელფასები ბანკით
 გადახდილი საკომისიოები ბანკით
 გადახდილი სხვა ხარჯი
 საგადასახადო ვალდებულებების გადახდა (ბიუჯეტში გადახდილი ფული)
 საოპერაციო იჯარიდან მიღებული ფული

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან სულ

დამფუძნებლის სესხის ძირის დაფარვა

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში = წმინდა ფულადი სახსრები
 საოპერაციო საქმიანობიდან + წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

სავალუტო კურსის ეფექტი - საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი ან
 ზარალი.

დირექტორი: რუსუდან ბადალაშვილი

ბუღალტერი: ვალერი შამგიაშვილი



ი. ბადალაშვილი
 3- მ. მ. მ.